საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საministro

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1474/01
18/02/2021

1474-01-2-202102181805

შპს „კერამიკა ართანას“
მის: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №85

სამინისტროში თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ (წერილი N21160), მცხეთის მუნიციპალიტეტში, კერამიკული ფილებისა და ნაკეთობების წარმოების საამქროს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

- შპს „კერამიკა ართანას“ კერამიკული ფილებისა და ნაკეთობების წარმოების საამქროს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულ სკოპინგის დასკვნაში (N 94 - 27.11.2020) მითითებულია, რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებელი ელექტრო ღუმელის საპასპორტო მონაცემები. აღნიშნულთან დაკავშირებით, გზშ-ის ანგარიშში (გვ. 134) მითითებულია, რომ ინფორმაცია მოცემულია „თავში 3.1“, თუმცა აღნიშნულ თავში ელექტრო ღუმელის საპასპორტო მონაცემები არ არის წარმოდგენილი, ასევე არ არის მითითებული ღუმელის მოდელი;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საწარმოს განთავსების ტერიტორიის მხოლოდ ერთი შერჩეული ალტერნატივა, ხოლო საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის სხვა ალტერნატივა დეტალურად განხილული და შედარებული (გარემოსდაცვითი კუთხით) არ არის შერჩეულ ალტერნატივასთან. გარდა ამისა, საწარმოს განთავსების ადგილის შერჩეული ალტერნატივა საკმარისად არ არის განხილული და დასაბუთებას საჭიროებს გარემოსდაცვითი კუთხით;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 58) მითითებულია, რომ გათვალისწინებულია: „ერთსართულიანი, კერამიკული ნაკეთობათა საწარმოს მშენებლობა, შენობის ზომები: 40.50 X 8.8 (მ)“, ასევე გზშ-ის ანგარიშის მიხედვით (გვ. 108), საწარმოში დასამონტაჟებელია ღუმელი და სხვა დანადგარები. 2020 წლის 15 დეკემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა საწარმოს ინსპექტირება და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №062534 ოქმი, რომლის

მიხედვით შპს „კერამიკა ართანას“ კერამიკული ფილებისა და ნაკეთობების საწარმოს შენობა უკვე აგებულია, ხოლო ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისთვის საჭირო დანადგარები შეტანილი და დამონტაჟებულია შენობაში. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს საწარმოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია საწარმოს შენობაში არსებული და მოსაწყობი დანადგარების შესახებ. აღნიშნული საკითხი, ასევე მითითებულია შპს „კერამიკა ართანას“ კერამიკული ფილებისა და ნაკეთობების წარმოების საამქროს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულ სკოპინგის დასკვნაში (N94 - 27.11.2020).

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე